ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

19 (10006) • 13 maisi • 2013 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

"ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დასახელდა

კოალიცია "ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დასახელდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა , ბიძინა ივანიშვილმა გუშინ გამოაცხადა. კანდიდატის დასახელებამდე, პრეზიდენტობის კანდიდატის შესახებ ივანიშვილის ბიზნესცენტრში კოალიციის პოლიტსაბჭოს კონსულტაციები გაიმართა, რის შემდეგაც კანდიდატის შესახებ გადაწყვეტილებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრები გაეცნენ.

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის ოქტომბერში უნდა გაიმართოს. გიორგი მარგველაშვილი 1969 წლის 4 სექტემბერს დაიბადა. დაამთავარა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - დოქტორის ხარისხი ფილოსოფიაში; მეცნიერებათა აკადემია, ფილოსოფიის ინსტიტუტი - 1993-1996 წლები.

1993-1994 წლებში სწავლობდა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში.

სამუშაო გამოცდილება:

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) - 2010 - ოქტომბერი, 2012 – რექტორი;

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) - 2006-2010 – კვლევითი დეპარტამენტის უფროსი;

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) -2000-2006 – რექტორი;

საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი - 1995-2000 – ადგილობრივი ხელმძღვანელობის სპეციალისტი/პროგრამის კონსულტანტი;

თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი - 1996-1997 – ლექტორი ფილოსოფიასა და კულტურაში - თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორის სპეციალური მოწვევით წაიკითხა კურსი "კულტურის აზრისა და კომუნიკაციის ისტორია"

შპს "ბიზნეს დღიურები" - 1994-1995 – მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს კულტურის ლაბორატორია - 1993-1993 – უმცროსი სპეციალისტი

მარგინალური მდგომარეობების ფსიქოლოგიური ლაბორატორია - 1993-1993 – უმცროსი სპეციალისტი

შპს კავკასუს თრეველი - 1992-1994 – სამთო გიდი/ჯგუფის ლიდერი.

9 მაისი აღნიშნეს

მეორე მსოფლიოს დამთავრებიდან 68 წელი გავიდა. თხელდება ომის ვეტერანთა რიგები, მაგრამ მათდამი საზოგადოების პატივისცემა არ კლებულობს. ოზურგეთიდან 7 ათას კაცამდე წავიდა ომში, საიდანაც ნახევარზე მეტი უკან არ დაბრუნებულა. დღეს ომის ვეტერანებიდან ჩვენს მუნიციპალიტეტში 58 ადამიანი შემორჩა, რომელთაგან ბევრი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ველარ ახერხებს გამარჯვების რის ზეიმზე მისვლას.

9 მაისს დილიდავე შეიკრიბნენ ომის ვეტერანები, ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენლები დიდების ობელისკთან. ქართულ-ეროვნულ სამოსიანმა ახალგაზრდებმა ყვავილების გვირგვინით შემკეს დიდების მემორიალი.

ომის ვეტერანებს მიესალმნენ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი, გამგებელი კოტე შარაშენიძე, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ოზურგეთიდან ზვიად კვაჭანტირაძე.

პოლკოვნიკმა გივი მამალაძემ, ომის ვეტერანმა ვახტანგ ჩხარტიშვილმა ისაუბრეს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მნიშვნელობაზე, გაიხსენეს მნიშვნელოვანი ეპიზოდები.

შემდეგ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ომის ვეტერანების პატივსაცემად კონცერტი გაიმართა. ომის ვეტერანებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა საჩუქრად 50-50 ლარი გადასცა და ლანჩზეც მიიწვია.

განათლების მუშაკთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია ყოველწლიურად ომის მონაწილე პედაგოგებს ცალკე შეხვედრას უმართავს. ასე იყო წელსაც. ქალბატონმა როზა გოგუაძემ მათ ეს დღე მიულოცა და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

სოფ. ლიხაურის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა სიმონ ბებურიშვილმა ასეთი ეპიზოდი გაიხსენა: ომის დროს კასპის ზღვაში, ერთ-ერთ ნავთობის საბადოებით ცნობილ კუნძულს ვიცავდით გერმანული თვითმფრინავების მოსალოდნელი თავდასხმისაგან. გერმანელების ერთ-ერთმა „ფოკე-ვულფმ“ მანც მოაღწია კუნძულამდე და „ბომბი“ ჩამოაგდო, მაგრამ არა ასაფეთქებელი ნივთიერებით დატენილი, არამედ პროკლამაციებით სავსე. გერმანელები „გვიხსნიდნენ,“ რომ თუ აქ ნამდვილ ბომბებს ჩამოყრიდნენ, ნავთობის საბადოებს 7 წელი ექნებოდა ხანძარი. „ჩვენ ნავთობი გვინდა და არა ცეცხლიო“–წერდნენ ისინი. ჩვენმა სამხედროებმა მანც ჩამოაგდეს ის თვითმფრინავი ნახევანის ტერიტორიაზე...

ქალბატონმა როზამ და ომის ვეტერანებმა სოფ. კვირიკეთში ყვავილებით შეამკეს ახლახან გარდაცვლილი ბაღრი ლომინეიშვილის საფლავი.

ვანო ჩხარტიშვილი ოზურგეთის საკათედრო ტაძრის მოხატვას გეგმავს

ამის შესახებ ცნობილმა ბიზნესმენმა შაბათს, მის მიერ აგებულ ოზურგეთის საკათედრო ტაძარში ყოფნისას თქვა.

იგი მშობლიურ ოზურგეთში ცნობილ ხელოვანებთან და სხვა პირებთან ერთად იმყოფებოდა. (სტუმართა შორის იყო საქართველოს ექპრემიერ მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე და ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი)..

ვანო ჩხარტიშვილმა მამა იოსებთან (ნაკაიძე) ერთად დაათვალიერა ახლადაგებული სამრეკლო. ადგილობრივი ხელისუფლებიდან მასთან მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ლევან ნინიძე და ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარე თამაზ სალუქვაძე იმყოფებოდნენ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დამატებითი ვალდებულებები აიღო

გაზეთი „ალიონი“



გურიაში წელს ბევრად მეტი სახნავი ფართობი დამუშავდება, ვიდრე ეს წინა წლებში იყო. ახალ პროექტს როგორც მოწონება, ისე პრობლემებიც ახლავს თან. იმ სოფლებში, სადაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლება კეთილსინდისიერად შეადგინეს სიები, ხვნა-თესვის სამუშაოები უკეთ მიმდინარეობს. თუმცა ზოგან თესვის სამუშაოებისათვის დამატებით სხვადასხვა ციფრს ასახელებენ: 1000 კვ. მეტრზე დათესვა-დაფარცხვის სამუშაოებისათვის 20-22 ლარიც კი დაასახელეს(?!) ამ და სხვა საკითხებზე გაზეთ „ალიონის“ შეკითხვებსსოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტმა **ომარ ჩხარტიშვილმა** უპასუხა:

–საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების ძალისხმევით, მცირე ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, სახნავი ფართობების სასოფლო-სამეურნეო ბარათებით დამუშავება. ჩვენი მუნიციპალიტეტის

გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

13 მაისი	14 მაისი	15 მაისი	16 მაისი	17 მაისი	18 მაისი	19 მაისი
ჭექა-ქუხილი +14+23	წვიმა +16+26	მზე, ღრუბელი +17+26	წვიმა +16+21	წვიმა +15+20	წვიმა +14+20	მზე, ღრუბელი +17+23
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დამატებითი ვალდებულებები აიღო

დაბებსა და სოფლებში წინდაწინ შედგა სიები, რომლის მეშვეობითაც ჩვენს ფერმერებს ჩამოუვიდათ ორი სახის სასოფლო-სამეურნეო ბარათი: ნომინალური და კომბინირებული.

იმ ფერმერებს, რომლებსაც 0.25 ჰექტრამდე მიწის ფართობები ჰქონდათ, მოუწიათ ნომინალური ბარათი 100 ლარის ოდენობით, რომლითაც შეეძლებათ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და სხვა დანიშნულების ნივთების შეძენა სპეციალურად გამოყოფილ მაღაზიებში; 0, 25 ჰა-დან 1, 25 ჰექტრამდე ფართობი ვისაც ჰქონდათ –მიიღეს როგორც კომბინირებული, სახნავი ფართობის ხვნისა და გაფხვიერებისათვის, ასევე ნომინალური ბარათებიც, ხოლო 1,25-დან 5 ჰექტრამდე ვისაც ჰქონდათ–ამათ მოუწიათ ნომინალური ბარათები. დღეის მდგომარეობით (ინტერვიუ 10 მაისს შედგა) მიღებულია 10082 კომბინირებული ბარათი, ხოლო 20562–ნომინალური ბარათი. გარდა ამისა 2500 პიროვნებაზე გაგზავნილია პრობლემური სიები, რომლითაც ამ დღეებში ჩამოვა, როგორც კომბინირებული, ისე ნომინალური ბარათები.

მუნიციპალიტეტის დაბებსა და სოფლებში ხვნა-თესვის სამუშაოები დაწყებულია. გარდა შპს „მექანიზატორისა“ და ინდმეწარმე „გელა გამყრელიძისა“ ქ. თბილისში კონტრაქტი დადო ჩვენი მუნიციპალიტეტის 20-მა მექანიზატორმა, რომლებსაც თავიანთ უბნებში მიეცათ უფლება სასოფლო-სამეურნეო ბარათებით ხვნა-თესვის ჩატარებისა. კიდევ ერთხელ განვმარტავ–კომბინირებული ბარათებით ხდება ნიადაგის მოხვნისა და გაფხვიერების სამუშაოების შესრულება. დანარჩენი ოპერაცია–თესვა და ნიადაგის მოსწორება, ამის თანხა უნდა გადაიხადოს მიწის მეპატრონემ. საშუალო ფასი ჩვენს რეგიონში 1000 კვ. მეტრზე თესვის სამუშაოების ჩატარებისა, არის 5 ლარი და 50 თეთრი, ხოლო მოსწორების სამუშაოებისა –6 ლარი და 50 თეთრი. თუ მაგალითად შპს „მექანიზატორის“ ტრაქტორი უნდა იქნას გადაყვანილი სხვა ადგილზე, ამას დაემატება განვლილი მანძილის ღირებულება დაახლოებით ერთი ლარის ფარგლებში. **12-13 ლარის ფარგლებში უნდა მოხდეს 1000 კვ. მეტრი საყანე ფართობის თესვისა და ფარცხვის სამუშაოები. იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგი არ საჭიროებს ფარცხვის სამუშაოებს, ის გაცილებით ნაკლებ ფასში ჩატარდება.**

– ეს პროგრამა რა დამოკიდებულებაშია იმ ფერმერებთან, რომლებსაც 0.25ჰა-ზე ნაკლები სახნავი ფართობები აქვთ?

–სახელმწიფო, კერძოდ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა, დააყენა საკითხი, რომ ის ფართობები, რომლებიც იყო მასივებში (0,25 ჰა-ზე ნაკლები) მაინც დამუშავებულიყო, რომ მექანიზატორებს ხელი არ შეშლოდათ ფართობების დამუშავებაში და თავად მცირემიწიანი ფერმერებიც არ დაზარალებულიყვნენ. ეს თხოვნა დააკმაყოფილა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის პროექტების მართვის სააგენტომ და იმ ფართობებში, რომლებიც მასივებში მდებარეობს, დამატებით იქნება ხვნისა და გაფხვიერების სამუშაოები შესრულებული.

–იქ, სადაც კომბინირებული ბარათი მიწის მეპატრონესთან არ მივიდა იმ სახით, რა ფართობითაც იყო იგი სიაში შესული, ამ შემთხვევაში მას არ უნდა მიეღო კომბინირებული ბარათი, დაბრუნდებოდა უკან და ჩასწორებული სახით მიიღებს. მაგრამ ბევრ შემთხვევაში ხდება ასე, რომ იღებენ კომბინირებულ ბარათს და გარკვეული დროის შემდეგ მოაქვთ ჩვენთან. ეს უკვე პრობლემას ქმნის. დებულებაში ისიცაა შეტანილი, რომ თუ ფერმერს კომბინირებული ბარათის მიღებისას, მიწა უკვე დამუშავებული ჰქონდა, შეუძლია ბარათის უკან დაბრუნება და შესაბამისი ნომინალური ბარათის მიღება.

– შპს „მექანიზატორისა“ და სხვა ინდმეწარმეების ტრაქტორების რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ აგროვადებში დასრულდეს ხვნა-თესვის სამუშაოები?

–ჩვენს ზონაში ხვნა-თესვის სამუშაოებისათვის ოპტიმალური ვადა არის 1 ივნისამდე. მაგრამ ამინდის ჭირვეულობის გამო ვერ ხდება ამ ვადების დაცვა. წელს აგროვადებს გადაწევა გამოიწვია იმან, რომ ბარათები არ ჩამოვიდა დროზე. ამს დაემთხვა უამინდობა. ახლა გვალვები დაიწყო და ხვნის სამუშაოები კი მიდის, მაგრამ გაძნელებულია გაფხვიერების სამუშაოები. ეს კი იწვევს პრობლემას როგორც ფერმერებისთვის, ისე მექანიზატორებისათვის. ამ უკანასკნელებს კონტრაქტებში შესასრულებელ სამუშაოებზე კონტრაქტები აქვთ მითითებული. თუ საკონტრაქტო ვადებში არ ჩაეტევიან, მოუწევთ ქ. თბილისში ახალი კონტრაქტების გაფორმება. არსებული ტექნიკა– 70 ერთეული ტრაქტორით შესაბამისი ამინდის შემთხვევაში შეძლებს ხვნა-თესვის სამუშაოების დროულად დასრულებას.

–მუნიციპალიტეტის რომელ სოფლებში მიდის უკეთ ხვნა-თესვის სამუშაოები?

–ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა სოფლებში ძიმითი, შრომა, სილაური. ასევე დამაკმაყოფილებლად მიდის სამუშაოები სოფ. ჯუმათში...იქ სადაც შედის შპს „მექანიზატორი“ და სხვა ამხანაგობები, ისინი აქ მათ ხელთ არსებულ ყველა ტრაქტორს ამუშავებენ და ბუნებრივია, სამუშაოები უფრო სწრაფად სრულდება. ზოგჯერ ფერმერი, რომელსაც კომბინირებული ბარათი გააჩნია, თავად ცდილობს მონახოს შესაფერისი ტექნიკა–ასეთ წინააღმდეგობასაც ვაწყდებით. პრობლემაა სოფ. მთისპირში, სადაც სახნავი ფართობები ძირითადად ზეგნებზეა და კონტრაქტით მხოლოდ ერთი „დტ“ ტრაქტორი მუშაობს.

–როგორ მიმდინარეობს ნომინალური ბარათებით სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, მინერალური სასუქების და ა.შ. შეძენის პროცესი?

–თავიდან 8 მაღაზია იყო დარეგისტრირებული. ამჟამად 6 მაღაზია მუშაობს. შემოზიდულია როგორც აზოტოვანი, ისე კომბინირებული სასუქები. ფასები მინერალურ საუქებზე და ინვეტარზე სტაბილურია.

–ვინაა პასუხისმგებელი ამ პროექტის განხორციელებზე?

–უშუალო პასუხისმგებელი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოა. ხოლო ჩვენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრის 5 თანამშრომელი, ისევ როგორც მუნიციპალიტეტი, ჩართული ვართ ამ პროცესში.

დისკუსია ახალი საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ

ნუგზარ ოთარიშვილი

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ორგანიზებით დისკუსია გაიმართა ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან დაკავშირებით. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შრომის კანონში არსებული ნორმების, ხარვეზების, პრაქტიკისა და ახალი ინიციატივების განხილვა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფესიული კავშირის გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი და „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ ანალიტიკოსი გიგი ჩიხლაძე.

2006 წლიდან საქართველოში შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება მოქმედი შრომის კოდექსით მიმდინარეობს, ხოლო მასში გაუთვალისწინებელი ურთიერთობების რეგულირება სამოქალაქო კოდექსის ნორმებით ხორციელდება.

ირაკლი პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ არაბი ინვესტორის ფადი ასლის და სხვა ლობისტური კომპანიების საქმიანობას უკავშირდებოდა შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რითაც 2006 წლიდან ბიზნესმენებს მოეხსნათ პასუხისმგებლობა, რომ შრომა იყოს უსაფრთხო. 2010-11 წლებისთვის 180 პროცენტით გაიზარდა უბედური შემთხვევების რიცხვი.

საქართველოს შრომის კოდექსში არსებულმა ხარვეზებმა განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი არჩევნების შემდეგ, როდესაც ნებაყოფლობით თუ კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველზე გახშირდა დასაქმებულთა დათხოვნა საჯარო თუ კერძო სტრუქტურებიდან.

2012 წლის ნოემბერში პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ შემუშავდა საკანონმდებლო ინიციატივა „საქართველოს შრომის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, ხოლო იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი, რის საფუძველზეც დადგინდა ახალი რეგულაციები, ახალი დებულებები და ნორმები.

შეხვედრაზე განხილული იქნა როგორც ყველააღნიშნული ახალი სამთავრობო ინიციატივა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიღებული რეკომენდაციები დასაქმებულთა დამსაქმებელს შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირის როლი შრომითი ხელშეკრულებების მხარეთათვის სამართლიანი და თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის საქმეში.

სოფლის მეურნეობის ბარათების მიმართ ხალხის უკმაყოფილება იზრდება

ნია იაშვილი

სოფლის მეურნეობის ბარათების დარიგების შედეგად მოსახლეობის განწყობა სხვადასხვაგვარია. საუბრობენ იმაზე, რომ ე.წ. ვაუჩერები ჩუმად იყიდება ღირებულების ნახევარ ფასად. ზოგი არ ჰყიდის, მაგრამ მათთვის საჭირო ინვენტარი თუ სასუქი ერთსა და იმავე მაღაზიაში სრულყოფილად წარმოდგენილი არ არის და ამ დროისთვის ფასებიც მომატებულია. მოსახლეობის ნაწილს ბარათები მათი მიწების შესატყვისად არ დარიგებია. საუბობენ ხელწერების გაყალბების შემთვევებზეც.

ნაზი ნიკოლაიშვილი (სოფ. მთისპირის მცხოვრები): – როცა გასული წლის შემოდგომაზე ჩამოიარეს, (სოფლის რწმუნებული, მოადგილე, მდივანი) ჩავაწერინე 4 000კვ. მ საყანე მიწის ფართობი, 6 000 მ. ხილის და თხილის ბაღი და საბოსტნე.

მინდა აქვე აღვნიშნო, რომ არჩევნებამდე ადგილზე მავიწროებდნენ. რწმუნებულის მოადგილე გენადი ზურგალიძემ ჩემს მეზობლებს წინასაარჩევნოდ ჩემთან ურთიერთობა აუკრძალა. (ამის შესახებ კიდეც დაიწერა გაზეთ „ალიონში). ჩაწერილი ვიყავი ე.წ. „შავ“ სიაში.

დაგვიანებით მოვიდა 100 ლარის ღირებულების ბარათი. რომლის აღებაზე უარი ვთქვი. როცა პასუხი მოვთხოვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს მდივანი ანა ინწკირველი შემეპასუხა, შენ თავად ჩაგვაწერინე ასე. თუმცა იმ ფაქტს ჩემი მეზობლები ესწრებოდნენ და როცა დაუდასტურეს ჩემი ნათქვამი, ასე მიმართა მათ, თქვენ მეზობლები ხართ და ერთმანეთს მხარს უჭერთ?! შეიძლება ვინმემ თქვას, საჩუქრის მიმართ ასეთი დამოკიდებულება უმადურობაა. მაგრამ ვთვლი, რომ ასეთი დამოკიდებულება უსამართლობა უფროა და ყველა გაურკვევლობა მიზანმიმართულად გაკეთდა ხალხის გასაღიზიანებლად. ბარათები არ დარიგებულა მიწის ნაკვეთების რაოდენობისა და დანიშნულების მიხედვით, და იგი შერჩევით გაანაწილეს. მათი ღირებულება არანაირ სტანდარტში არ ჯდება. მცირემიწიან ოჯახების ნაწილს მეტი ღირებულება ერგოთ. ქალაქში მცხოვრებთა ნაწილი ბარათების სიაში აღმოჩნდა, ნაწილი არა. ასეთი ოჯახები მარტო ჩვენს სოფელში რამდენიმეა. ასევეა სხვაგან. ლოდინში დაგვიანდა ფართობების დათესვაც, რაც ჩვენს მდგომარეობას უფრო გაართულებს.

როცა ხალხი ელოდებოდა მართლაცდა შედეგიან ცვლილებებს, როცა ამდენი ფული იხარჯება სოფლის მეურნეობაში, კარგი იქნებოდა ხალხს მისი შედეგი უკეთ ეგრძნო.

ოზურგეთის ქალთა კლუბის შეხვედრაზე

ნინო ნიკოლაიშვილი

8 მაისს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ქალთა კლუბის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ქუთაისიდან ემა კანკია, მანანა ლეშკაშელი; ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატი ირინა საჯაია. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს ოზურგეთის „ჭადრების ბაღში“ საამშენებლო მასალით ამოვსებული ფანტანის გასუფთავების შესახებ, რასაც ამჟამად ძველი ყორღანი შეარქვეს ოზურგეთლებმა და რის გამოც არაერთი ადამიანი გამოთქვამს წუხილს: – ფანტანი, სადაც ბავშვები ცხელი ზაფხულის პერიოდში გრილდებოდნენ, დღეს გრძელ საფლავს დაამსგავსეს და ამ ბაღის სიმახინჯეს წარმოადგენსო.

გარდა ამისა, ასევე მოსახლეობის თხოვნით, ქალაქის რამდენიმე, ხალხმრავალ ადგილზე სასმელი წყლის სოკოების დადგმაზეც ისაუბრეს.

დეპუტატ ირინა საჯაიას თქმით, მსგავსი საკითხების მოგვარებისთვის შესაბამის უწყებას უნდა მიმართონ.

სტუმრად მოწვეულმა ჟურნალისტმა გიორგი სირაძემ მედიაკომუნიკაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

პასქის ფესტივალი-2013

მარი კოძოევი

8 მაისს, ოზურგეთმა, ჭადრების ბაღმა გურიის პასქის ფესტივალს უმასპინძლა. წლევანდელი, რიგით მესამე ფესტივალი იყო, რომელშიც ოზურგეთლებთან ერთად, ჩოხატაურის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. წინა წლებისგან განსხვავებით წარმოდგენილი არ იყო ლანჩხუთი.

"პასქის ფესტივალი" – 2013 -ის პრიზიორები გახდნენ:

მია დოლიძე – ნოვატორული კომპოზიცია. №1 სკოლა – რელიგიური კომპოზიცია. №2 სკოლა – ორიგინალური კომპოზიცია. წმგაბრიელის სახელობის სამრევლო სკოლა - ყველაზე საინტერესო მხატვრული ხედვა. სოფ. ჯუმათის საჯარო სკოლა - ჟიურის სიმპათია. სოსო / გალინა წიტაიშვილი – ყველაზე შემოქმედებითი ოჯახი.
ერკეთის დედათა მონასტერი – ყველაზე ტრადიციული კომპოზიცია. თეატრი – ყველაზე გემრიელი პასქა.
გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია –ჟიურის სიმპათია. ნამცხვრის სახლი "ტირამისუ"– საუკეთესო დიზაინი. "მოდერნი-2009" – გიგანტური პასქა. ლილი ტაბიძე– ფესტივალის აღმოჩენა. კოლეჯი "ჰორიზონტი" – ნორჩი კულინარ-დიზაინერი. ირმა ჩხარტიშვილი – ჟიურის სიმპათია.

ჟიურის თავმჯდომარე ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი მამა ვასილი იყო. ჟიურის წევრები იყვნენ სოფო გოლიაძე – კვების ტექნოლოგი, „მოდერნი". მარინა ჯაფარიძე, ოზურგეთის მეორე საჯარო სკოლის დირექტორი. ხათუნა ლომაძე, რესტორან „გურიას" დირექტორი. ნინო გოგეშვილი – გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის დირექტორი. თამუნა ლომთათიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი. თამაზ დარჩია – მხატვარი. დედა მარიამი, ერკეთის დედათა მონასტერი.

ფესტივალის სტუმრებმა ფარული კენჭისყრით ხალხის რჩეული გამოავლინეს, რომელიც №1 საჯარო სკოლა გახდა.

სპეციალური პრიზი დააწესა ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ზვიად კვაჭანტირაძემ, რომელიც ნამცხვრის სახლ „ტირამისუს" ერგო.

ფესტივალი საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა, შეგროვილი შემოწირულობები შეჭირვებულ ოჯახებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრს გადაეცათ.

ფესტივალის მიზანი კულინარ-დიზაინერთა გამოვლენა და ქველმოქმედება იყო .

ფესტივალს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფესტივალი მეუფე იოსების ლოცვა-კურთხევით, მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და ლია კილაძის ორგანიზატორობით ჩატარდა.

ოზურგეთში საზოგადოება „სანთელი" შეიქმნა

ნინო ნიკოლაიშვილი



იდეა ერთი თვის წინ 9 აპრილს დაიბადა. ეს დღე მტკივნეულ შტრიხად გასდევს თითოეული ადამიანის გულს, რომლისთვისაც სულერთი არ არის მამული თავისი წარსულით, აწმყოთი თუ მერმისით. სწორედ იმ დღეს, ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში გამოფენაზე შეკრებილმა საზოგადოებამ სასულიერო პირებთან ერთად ის ავბედითი დღე გაიხსენა. წარსულის გახსენებას აწმყოზე დაფიქრება მოჰყვა და ფიქრში აკიაფდა სანთელი. ისაუბრეს, ოზურგეთში არაპოლიტიკური საზოგადოება „სანთელი" შექმნილიყო. მერე ფიქრები რეალობად იქცა და 10 მაისს კვლავ სამხატვრო გალერეაში საზოგადოების ერთი ნაწილი შეიკრიბა. ავთანდილ თავართქილაძემ და ლევან მჟავანაძემ დებულების შინაარსსა და საორგანიზაციო საკითხებზე ისაუბრეს. საზოგადოება დაფუძნდა, დასახელდა გამგეობის წევრები.

საზოგადოების მიზანია: ქართველი ერის რეალური ფასეულობების, ღირებულებების პოპურალიზაცია, შენარჩუნება და განვითარება.

„სანთელი"თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებით:

საგანმანათლებლო კონკურსების და კონფერენციების ორგანიზება „ჩვენი დროის ზნეობრივი მაგალითი;" საქველმოქმედო აქციის მოწყობა; დიალოგების გამართვა ეროვნული და ზნეობრივი პრობლემების ირგვლივ; საზოგადოებისათვის პერიოდული გამოცემის დაარსება.

რომაული აბანოების ნაშთებს გადახურავენ

ამის შესახებ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის მმართველმა დავით ხურციძემ გვითხრა.

ხურციძის თქმით, სააგენტომ თავდაპირველად კონკურსი გამოაცხადა ოზურგეთში რომაული აბანოების გადახურვის პროექტის შესადგენად, რაზედაც 20 ათასი ლარია გამოყოფილი. უკვე გამოვლენილია გამარჯვებული. პროექტის შედგენის შემდეგ ახალი კონკურსი გამოცხადდება.

რაც შეეხება არქეოლოგიური გათხრების გაგრძელებას, ამ ეტაპზე სააგენტო რომაული აბანოების გამოსაკვლევად გათხრების გაგრძელებას არ გეგმავს.

გიორგი კეჭაყმაძე – 75



75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ივანეს ძე კეჭაყმაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გიორგი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები უღრმესი პატივისცემით მოგესალმებიან დიდებულ მწერალს და მამულიშვილს და გილოცავენ ღირშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში –დაბადების 75 წლისთავს.

ნახევარი საუკუნე გასულა მას შემდეგ, რაც 1959 წელს ჟურნალ „ცისკარში"გამოქვეყნდა თქვენი პირველი მოთხრობა „ცისფერყდიანი რვეული,"რომელმაც მკითხველთა ყურადღება მიიპყრო და მოწონება დაიმსახურა. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები –რომანები, მოთხრობები, პიესები, ინსცენირებები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე.

თქვენი რომანებისა და მოთხრობების კრებულები „მეთორმეტე ზარი,"„ჩემი პატარა ლანდი,"„გზა თავსა წინა,"„კარავი ღრუბლებზე,"„ვარდი და ეკალი,"„ჩვენს კაპიტანს გაუმარჯოს,"„ჩვენ ვეძებთ ბათოს,"„სამაგიერო"გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა და სალიტაერატურო კრიტიკამ. ამ ნაწრამოებებში ხომ მწერლური დამაჯერებლობით, მხატვრული სიმართლით დაგვიხატეთ ქართველი ახალგაზრდობის ყოველდღიური ყოფა, მათ წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემები, მათი ოცნებები და მისწრაფებანი, დაგვიხატეთ ქართული სოფელი, მისი შუქ-ჩრდილები, ბრძოლა ქართული სულიერებისა და ტრადიციების გადასარჩენად. თქვენი ნაწარმოებები რომ ჭეშმარიტი მწერლის კალამს ეკუთვნის იმითაც დასტურდება, რომ თქვენი რომანი „ჩემი პატარა ლანდი"ითარგმნა გერმანულად და გერმანულმა გამომცემლობა „ნოისე ლებენმა"ზედიზედ ორჯერ (1974, 1975 წლები) გამოსცა ცალკე წიგნად. თქვენი ნაწარმოებები ითარგმნა აგრეთვე რუსულ და უკრაინულ ენებზე და ცალკე წიგნად გამოიცა.

დრამატურგიაშიც სცადეთ ბედი და აქაც წარმატებებს მიაღწიეთ. თქვენი პიესები „თანამგზავრი,"„ოქროს ნალი,"„რად არ მცემდიან,"„პარტახი" და სხვა ჩვენი ქვეყნის არაერთ თეატრში დაიდგა.

ბატონო გიორგი!

გვიყვარხართ იმიტომაც, რომ თქვენ, ნიჭიერმა შემოქმედმა, რომელსაც სულ ადვილად შეეძლო კარიერის გაკეთება დედაქალაქში, არ უღალატეთ ადგილის დედას და დღემდე მშობლიურ კუთხეში –გურიაში სულიერების აღორძინებას ემსახურებით...

ვიცით ისიც, რომ ბოლო ორი ათეული წელი მოანდომეთ მრავალპლანიანი რომანის შექმნას, რომელიც ქართველი კაცის სულიერი პორტრეტის შექმნის მცდელობაა კატაკლიზმებით სავსე ჩვენი ყოფის ფონზე. ველოდებით ამ რომანის გამოქვეყნებას და დარწმუნებული ვართ, რომ იგი სულ მალე იხილვს დღის სინათლეს.

ძვირფასო გიორგი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საქართველოს ერთგულ მეციხოვნეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სანუკვარი რაიონისადმი მარადიულ ერთგულებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია უერთდება საქართველოს მწერალთა კავშირის მილოცვას და ულოცავს მწერალს, საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაციის პირველ თავმჯდომარეს, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ოზურგეთის ორგანიზაციის ასევე პირველ თავმჯდომარეს, ბ-ნ გიორგი კეჭაყმაძეს დაბადებიდან 75 წლისთავს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრეოლობას და წარმატებებს

განცხადება

სააქციო საზოგადოება „იმედი"-ს აქციონერთა საყურადღებოდ!

2013 წლის 24 მაისს, დღის 16 საათზე, მოწვეულია სააქციო საზოგადოება „იმედი"-ს აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:

1. **გასული 2012 წლის სამეურნეო და ეკონომიკური შედეგების განხილვა და 2013 წლის პირველი კვარტლის შედეგები;**
2. **ორგანიზაციული საკითხები.**

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

სააქციო საზოგადოების დირექცია და სამეთვალყურეო საბჭო.

ვუძღვნი 5 თვის წინ ტრაგიკულად დაღუპულ მეუღლეს ამირან ანთიძეს

ჩვენი თანაცხოვრების 5 წელი ჰგავდა თაფლს, რომელსაც ფუტკრის ფრთებით ვეზიდებოდით და სანთელივით წმინდად, უანგაროდ ვუნაწილებდით ერთმანეთს სიყვარულის წყალობით. შენი ხიბლი შენს უბრალოებასა და უმანკო სულში იყო. შენი ღირსება– მდინარეს ჰგავდა, რაც უფრო ღრმაა, ნაკლებს რომ ხმაურობს. შენი სულიერი სამყარო იმდენად მდიდარი და ღრმა იყო, რამდენიც ვეცადე სიტყვათა კონით ნაწილობრივ მაინც რომ ამომეშრო, მით მეტად შეივსო და მისი ფურცელზე გადმოტანა ნამდვილად წვეთის ტოლფასი გახდა, მაგრამ მაინც ვეცადე, რადგან შენი ღირსებები შორიდან მომზირალი თვალისთვის არც თუ ისე ადვილად შესამჩნევი იყო. შენ ხომ რაღაც თავისებურს, მოკრძალებულს, კაცური ღირსებებით სავსე ჯადოსნურ გასაღებს ფლობდი, რომელიც ასე ნელი ნაბიჯით, ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ კაცური ნიჭიერებით მოარგე ჩემს სულს და მომეცი საშუალება შემეცანი ისეთი, როგორის ღირსიც შენ იყავი ჩემო სპეტაკო, მზრუნველო და ნიჭიერო ადამიანო. ყველა შენი ნაცნობ-მეგობრები ჩემს მიერ შენდამი ნაჩუქარ სიტყვების სიწრფელეში თავადაც დამეთანხმებიან:

რომ შენ იყავი მეგობარი –
გამრჯე, ჭკვიანი,
თავდადებული, ზნე-კეთილი, თავაზიანი,
ყოველდღიური შენი ქმედებით მე ვრწმუნდებოდი,
რომ გვერდით მყავდა ჭეშმარიტი ადამიანი.
მე თუ გაჩუქე თავი არსებით,
დაიმსახურე სრულიად, სავსებით!
მინდა ყველა შენს ღირსებას
სიყვარულის ფარდა ავხსნა,
დღესასწაულს მოგილოცავ,
ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა!...

მეუღლე ხათუნა ბერიძე.

ვულოცავთ!

ქ-ნ ნათელა ცეცხლაძე-მიქაშავიძეს

დაბადების დღეს გილოცავ, გისურვებთ ბედნიერებას შენს ოჯახთან და ღამაზ შვილიშვილებთან ერთად.

ნელი ლაგაზაშვილი, თეა, ლაშა ცხომელიძეები

ვულოცავთ!

ანფელა ხვიჩაველიას

დაბადების დღეს გილოცავთ. დაესწარი მრავალს შენს ახლობლებთან და ოჯახთან ერთად.

ნელი ლაგაზაშვილი, თეა, ლაშა ცხომელიძეები

ოინბაგებმა სიხარული მოგვანიჭეს

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრი ხშირად გვიწვევს წარმოდგენებზე. ამჯამად „ოინბაზებმა“ თავიანთი მხიარული ოინები გვაჩვენეს და ძალიანაც გვასიამოვნეს. სპექტაკლში 4 მსახიობი ვახტანგ ჩხარტიშვილი,გიორგი დოლიძე, ქეთი ცეცხლაძე და თეა კეკენაძე მონაწილეობდნენ.

ძალიან გვიხარია, რომ ვახტანგ ჩხარტიშვილი, რომლის თამაშმა განსაკუთებით მოგვხიბლა, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია.

წარმოდგენის შემდეგ მსახიობებთან სამახსოვრო სურთები გადავიღეთ.

უღრმეს მადლობას ვუხდით თეატრის ადმინისტრაციასა და მსახიობებს ამ ღამაზი დღისთვის.

სსიპ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის მოსწავლეები
ირაკლი ქავთარაძე, ცოტნე მურცხვალაძე, გიორგი ჭანნაკა

ველოტური დვაბზუში

ნინო ნიკოლაიშვილი

12 მაისს დვაბზუს თემში ველოტური გაიმართა. ასპარეზობაში 10 დან 15 წლამდე ბიჭები და ვაჟები მონაწილეობდნენ დვაბზუდან, გალმა დვაბზუდან, ცხემლისხიდიდან, ბახვიდან.. ტური მიეძღვნა ერთი წლის წინ ტრაგიკულად დაღუპული დვაბზუელი ახალგაზრდის რეზო ღლონტის ხსოვნას. ორგანიზატორი გახლდათ სოფ. დვაბზუს ახალგაზრდული ორგანიზაცია „ლამპარი“ (ხელმძღვანელი მაია ქოჩაშვილი). მხარდამჭერი „არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ (ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი) ღონისძიება განხორციელდა პროექტით „ფილანტროპები სოფლის განვითარებისათვის.

ასპარეზობა კარგად ორგანიზებული იყო. მონაწილეთა უსაფრთხოებას იცავდა ოზურგეთის პოლიციის თანამშრომლები. ადგილზევე იმყოფებოდა სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

30-მდე მონაწილე და მათი გულშემატკივრები წვიმიანი დასაწყისის მიუხედავად ინტერესით მოელოდნენ ასპარეზობის დაწყებას. ვაჟებმა 3 კმ-ზე მეტი მანძილის გავლა, გოგონებმა კი 2 კმ მანძილის გავლა შესძლეს. I, II, III ადგილი ასე განაწილდა. ვაჟები I ადგილი ლევან ახალაძე; II – დათო სიამაშვილი; III – ბექა ახალაძე; გოგონები I –ირმა დოლიძე; II – ლინდა ვაშალომიძე; III –მარიამ დათუნაშვილი. ყველა მონაწილეს სიგელი გადაეცა, გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოდეს.

ქეთევან ხიდაშელი: – ეს ორგანიზაცია უკვე მეორე გრანტით დავფინანსეთ, ფონდ „ტასოს“ მხარდაჭერით ვფიქრობთ, დავარეგისტრიროთ კიდეც, ისეთი ინტერესიანი და შრომისმოყვარე ახალგაზრდები არიან. ამ პროექტით კიდევ რამდენიმე საინტერესო ღონისძიება ოგეგმეა სოფელში. გვინდა მადლობა გადავუხადოთ ოზურგეთის პოლიციის განყოფილებას, სამმართველოს უფროსის მოადგილეს გურამ ასათიანს მხარდაჭერისათვის აქ მონაწილე რიგით პოლიციელებს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივითა და მხარდაჭერით არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა, როგორც სოფელში, ისე მუნიციპალიტეტში.

განცხადება

სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს ვაკანსიებს ოზურგეთში ადმინისტრატორის და მოლარე–ოპერატორის თანამდებობებზე. ვაკანსიის დეტალური აღწერა გთხოვთ იხილოთ ვებგვერდზე: **jobs.bog.ge** დაინტერესებულ კანდიდატებს, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) ელ. ფოსტის მისამართზე: **regionjob@bog,ge** ან დატოვოთ შემდეგ მისამართზე: **ოზურგეთი, გურიის ქ. №18. 2013 წლის 13 მაისის ჩათვლით. გისურვებთ წარმატებას!**

რეზიკო ღლონტი

მონატრებულო, ჩვენი ოჯახების დიდო ტკივილო, ჩვენო რეზიკო, ძალიან გვენატრები. სულ შენს ხსენებაში გვითენდება და გვიღამდება. რატომ დაუკარგე ჩვენს ცხოვრებას სილამაზე, შენ ხომ ჩვენი ერთადერთი ძმის გვარის გამგრძელებელი, რეზიკო ღლონტი იყავი. ეს სახელი და გვარი ჩვენთვის ბევრის მთქმელია. გვინდოდა რომ ჩვენი მამის სახელისა და გავრის გამაგრძელებელი ყოფილიყავი, რომ ჩვენს ოჯახებს შენით ბედნიერება მოეტანა, მაგრამ ამაოდ.

22 აპრილი თავზარდამცემი აღმოჩნდა ჩვენთვის. გამოაკლდი ქალაქს, სოფელს, ოჯახს და ყველა შენს მეგობარს, ჩვენო მოუსვენარო, ჩვენო სიყვარულო და სიხარულო, ჩვენო სიამაყევ! ჩვენ გვეამაყება, რომ გვყავდა ასეთი ძმისშვილი, სიცოცხლით სავსე, კეთილი და რაც მთავარია, ვაჟკაცი კაცი.

გული წაგვართვი და ცხოვრების ხალისი დაგვიკარგე. თვალცრემლიანები გიხსენებთ ჩვენო მამიდულა. სანამდე ვიცხოვრებთ ამ ქვეყანაზე, შენ იქნები ჩვენი დიდი ტკივილი და მოუშუშებელი ჭრილობა, რომლის მორჩენა მხოლოდ შენ შეგიძლია, ჩვენო მამიდულა, ჩვენო ვაჟკაცო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ღამაზი სული.

შენი მამიდები.

მენატრები, ჰკივის ჩემში, ისევ შენი მონატრება,
მენატრები! და სიშორეს მწარე სევდა ემატება,
მენატრები! რა ვქნა, თუკი უშენობა ცრემლებს ბადებს
მენატრები! მინდა გითხრა, ველარ უძლებს გული ამდენს.
მენატრები! სულ გახსოვდეს, უსაზღვროა ჩემი სევდა,
მენატრები! მაგრამ ტირილს ჩუმად ვბედავ.
მენატრები! რა ვქნა, თუკი უშენობას ველარ ვუძლებ
მენატრები! სევდიანი. კვლავ გავყურებ დვაბზუს შუკებს...
შენს ლოდინში ცრემლიანი კვლავ ავივლი ნაცნობ აღმართს!
შენზე ფიქრში უშენობის კიდევ ბევრი ღამე გავა,
შენზე ფიქრში სწრაფად გადის მარტოობის მწარე წლები,
მაგრამ რა ვქნა, მე თუ მაინც, ძლიერ, ძლიერ მენატრები.

დათო ცხომელიძე

სტუმრად მოხვედი ამქვეყნად,
ხალისით, სიყვარულითა,
ეს რა ილბალი გვქონია,
ბედმა რომ ერთად შეგვყარა,
სხვისი შვილები ჩემად ქნა,
ჩემი ხომ მუდამ ჩემია,
ზოგის ცხოვრება მწარდება,
ასეა ბედის განგება...

10 მაისს 5 წელი გახდება მას შემდეგ, შენ რომ დაგვტოვე და გადახვედი სასუფეველში. რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა 29 წლის ბიჭს, ასე ადრე თუ წაგიყვანდა განჩენი, რატომ შეგვახვედრა ღმერთმა ერთმანეთს.

ჩემო თბილო და სიყვარულით სავსე ვაჟკაცო, შენ ძალიან გვიყვარხარ და გვაკლიხარ, როგორც ოჯახს, ისე მეგობრებს და უზომოდ ენატრები შენს შვილს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენს გულებში სამუდამო ტკივილი და ცრემლი დატოვე.

შენი ოჯახი.

ნასაკირალის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს თინა და აბესალომ დვალიძეებს უსაყვარლესი დედის **ლიდა ჩხარტიშვილი-დვალიძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე